

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილან სული თვის დახსდის ცხოვრთათვის. იოან. 10—11.
შოვე ცხოვარი ჩემი წაწყედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
შოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენთ თქვენ. მათ. 11—28.


სოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმიდესი სინოდის წარდგენილობისაშებრ. ეოვლად უმოწყალებსად კეთილ ანება დანიშნა მგელის იმერეთის ეპარქიის კათედრასზე ეპისკოპოსად ეოვლად სამღვდლო ლეონიდისა.

ეჭვს კარძეა, რომ ეოვლად სამღვდლო ლეონიდის აღრჩევას იმერეთის კათედრასზე მთელი დასავლეთ-საქართველოს სამღვდლოება და სასოგადოება აღტაცებით მიეკებება.

მღვდელ-მთავრის აღრჩევაში ძველად, მოციქულების დროიდან დაწყებული, სასოგადოება და განსაკუთრებით სამღვდლოება დიდ მონაწილეობას იღებდა. ეს წესია დღესაც აღმოსავლეთს. სოვიერთ ეკლესიაში. ჭკმპირტად, ეოვლად სამღვდლო ლეონიდის აღრჩევაც უნდა ჩაითვალოს, ერთსა და იმავე დროს, ღვთის განცებით, მთავრობის განკარგულებით და ხალხის გულის აღრჩევით მომხდარ მოვლენად...

ამ ხუთი წლის წინათ: ქუთაისის საკრებულო ტამარში, როცა ეკლანი დაესტრო-



დით უოვლად სამღვდელთა გაბრიელ ეპისკოპოსის გვამს, ანდერძას გათავისებულ შემდეგ, ჩვენ შემთხვევა გვეჩინდა გვეთქვა სიტყვა, რომელიც შიდაც გამოვთქვით შემდეგი: „შევევადროთ, მძანო, ეველანი ღმერთს, რომ მან მოგვიფილინოს მღვდელ-მთავრად ისეთი ზირი, რომელმაც შეიძლოს ჩვენი კლოვის შემსუბუქება და იმ ნაკლის შევსება, რომელიც ჩვენ მოგვადგვა ამისთანა მღვდელმთავრის დაკარგვით; ჭეშმარიტად მრწამს, რომ მსურვალე ლოცვა ღვთისადმი სასოგადოებისა შესმინელ იქნება უფლისაგან.“ ჭეშმარიტად, დღეს შეისმინა ღმერთმა ეს საურთო ვედრება...

ჩვენი სასოგადოება და განსაკუთრებით ჩვენი მკითხველნი კარგად იცნობენ უოვლად-სამღვდელთა ლეონიდს, კარგად აქვსთ გაგებუ-ლი და არა ერთხელ წაუკითხავსთ გულისა და სულის დამატებობელი სიტყვა-მომღვრებანი მათი მუშუებისა და ამისთვის დღეს ჩვენ აღზარდვრის აღზარა ვწერთ მათი ბიოგრაფიის და ნაყოფიერი სამსახურის შესახებ.

სასოგადოება სრული დაიმედებული არის, რომ იმერეთის ეპარქია, უოვლად სამღვდელთა ლეონიდის ხელმძღვანელობით, კვლავ დაადგება იმ გზას, რომელსაც იგი ადგა 1861—1894 წწ., გაბრიელ ეპისკოპოსის დროს, იმედია, გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ დაუსრულებელი დასრულდება, დაწესებული გავრემდეგება და რომელიმე კარგიმეთავე წყალობით მაშინდელ დროს დაუწყებელი დაიწყება...

უოვლადკარი სამსახური, თუ კაცს მას ჯეროვანად ასრულებს, მეტად მნელია და სძ-

მიძო, მაგრამ მღვდელთ-მთავრის თანამდებობა, განსაკუთრებით ესლანდელ დროში და ჩვენში, უფლა თანამდებობას სიმძიმეს აღმეტება; ამისათვისაც იყო, რომ მველ დროში სასოგადოებისაგან ეპისკოპოსად აღრჩეულნი ზირნი უარს ამბობდენ ამ მძიმე თანამდებობის მიღებაზე. უოვლ ეპარქიის მმართველს, და კერძოთ ჩვენს ეპარქიაში, დიდი ველიანი გზა მოვლის, რომ მაცხოვრის სიტყვისამებრ დამწესოს თვისი სამწესო: მრავალი უსამოვნიება და უგმაროფილება, მრავალი მწესნარება და განსცდელი ნიადგ თვალ-ურის დგენა და შრომა, დიდი ფიქრი და გამჭრიახობა,— აი რას უნდა მოვლოდეს ჩვენი მღვდელ-მთავარი. უეჭველია, ასეთს ზირობებში ერთი ზირისათვის მეტად სამწელი არის ამ მძიმე სამსახურის შესრულება. ამისათვის საჭირო და სწავლდებულთა ეველსათვის და განსაკუთრებით სამღვდელთა ზირობის შეწიოს, დავნმაროს და ნიადგ გამზადებული იყოს, რომ როგორიმე გზით თავის მწვემსთ-მთავარს მისი მძიმე ტვირთი რამოდენადმე შეუმსუბუქოს მაგრამ, სამწესნაროდ, სძირად მოხდება, რომ სასოგადოება, გატაცებული სხვა მიმართულებით, ვერ უწევს იმ სამსახურს თავის მწვემსთ-მთავარს; რასაც იგი მოკლის მათგან. თუ როდესმე ეს სამწესნარო მოვლენა ხდებოდა, დღეს უმეტესად მოხლოდნელია, რადგან ზოგიერთების აზროვნება, შესდელება, მისწრაფება და მიმართულება მეტად არეულ-დარეულია და წვედიადით მოცული...

ყოველს შემთხვევაში საჭირო და მი-
ღეულია ქრისტიანული, სიევარული მწვემსთა
და სამწესთა შორის, ღმერთსა ვთხოვთ ამი-
ერიდგან დაარსებულეოს ჩვენში ის მამა-
მგილური სიევარული მწვემსთავარსა, მწვემ-
სთა და სამწესთა შორის, რომელიც
ძხოლოდ ერთად-ერთი თავმდეობა ქრის-
ტიანული წარმატებისა, ცხოვრებისა და
ცხოვნებისა; ღმერთსა ვთხოვთ, რომ ეოვ-
ლად-სამღვდელო ღვინიდი გამსდარეოთ
იმ მშვიდობის ანგელოზად და წინამორბედად,
რომელსაც დაემეარებოთ ნაცვლად მედიდურო-
ბისა, ამაზრტყანობისა, მთავრობის-მოკვარე-
ბისა, შურიანობასა; მცონარებისა და მლიქვ-
ნელობისა, ქრისტიანული თავმდაბლობა,
გულ-კეთილობა, შრომის-მოკვარეობა, სიევა-
რული და სიმატლე.

აღტაცებული სისარულით; შორეული ქვე-
ენიდან, მიულოცვავ იმერეთის ეპარქიის სა-
ზოგადოებას და სამღვდელოებას დიდის ხნი-
დგან შეეგარებულის მღვდელთ-მთავრის და-
ნიმენას და მით ახალი ხანის დაარსებას ჩვენი
ეპარქიის, სამღვდელოებას და საზოგადოების
წარსამატებლად და საკეთილ-ღელოდ.

დ. ჯ. დამასაძე.

პეტერბურლი.
18 აგვისტოს 1900 წ.



ჩემი სასისარული და სამწესთა შობაბგა-
ლებანი აზიის და ევროპის სასკლამწიფოებში
მოგზაურობის დროს.

(გაგრძელება*)



ესტრო-უნგრეთის საზღვარზე გადასვლის
დროს ჩვენ ოთხ პირს—ჩემს შვილს ექიმს
კოლით და ყაზანის სასულიერო აკადე-
მიის მესამე კურსის სტუდენტს, რომელ-
ნიც ჩემთან ერთად მოდიოდნენ, შევევე-
თხვა ცოტა უსიამოვნება. არ მინდა უყურადღებოდ
დავსტოვო ეს უსიამოვნება, რადგან, შეიძლება, სხვა
მოგზაურთ მაინც ასკილდეს თავიდან ასეთი შემთხვე-
ვა, ამასთან ეს შემთხვევა კარგად ახასიათებს ავსტრიის
დამოქნის მოსამსახურეთა უზნეო ჩვეულებათა. რუ-
სეთის საზღვრიდან ქალაქს ჩემინიაში ჩვენ ავიღეთ
რკინის გზის ბილეთები ვენამდის და გავიარეთ შვი-
ლიოდე ვერსი. აქ შეაჩერეს მატარებელი. ჩვენი
ნივთებით გადმოგვიყვანეს ვაგონებიდან და ერთ
დიდ ზალაში შეგვიყვანეს. შემოგვევიყვანეს ავსტ-
რიის დამოქნის მოსამსახურენი და გავგიზხრიკეს ჩე-
მოლნები და ნივთები. ჩვენ, რასაკვირველია, ბევრი
არაფერი ნივთები გვქონდა და მკირე დათვლიე-
რების შემდეგ ნივთები ჩავვაბარეს და პასპორტები
მოგვთხოვეს.

არ შეგვიძლია მკითხველის ყურადღება არ
მივაქციოთ ერთ გარემოებაზე, რომელიც მოგზაურს
აუცილებლად შეხვდება. გადახვალ თუ არა მოგზა-
ური სხვა სახელმწიფოში, შენ ენას უნდა გამოემ-
შვილობო; მას ვეღარ გაიგონებ, თუ შენივე სახელ-
მწიფოს კაცი არ შეგხვდა. უცხოეთში ყველა იმ
ენაზე ლაპარაკობს, რომელი ენაც სახელმწიფო
ენად ითვლება. ათასში, შეიძლება, ერთმა იცოდეს
საყველ-პუროდ შენი ენა, მაგრამ სასირცხოდ მიაჩ-
ნია უცხო ენაზე გელოპარაკოს. ის ამყად თხოუ-
ლობს, რომ სხვა სახელმწიფოში მის ენაზე ილაპა-
რაკო. მთელს დედამიწაზედ ერთად ერთი ქართვე-
ლები ვართ, რომელთაც ჩვენი დედა ენა გვეზიზ-

*] იხ. „მწვემსთა“ № 15, 1900 წ.

ღება და თუ საყველურად უცხო ენა შევისწავლეთ, დედა ენაზე ხმას აღარ ვიღებთ. საზოგადოებრივად მიგვაჩინა და თავის ენაზე ლაპარაკს ჩვენი ღირსების დასამტკიცებლად ვსთვლით! ზოგიერთი ჩვენი კულაბიკა „ჩინოვნიკები“ ენას განგებ იტყვენ ლაპარაკის დროს, რომ ქართველობა არავინ შეატყოსთ. სამღვარვარეთ ხალხი პირიქით თავის დამტკიცებად არცხს უცხო ენაზე ლაპარაკს და დედა ენას პირველ ენად სთვლის და შეიგნავს თხოვილობას, რომ მის ენაზე ელაპარაკო. მაღლობა ღმერთს, ჩემთან ერთად მოგზაურობდა ჩემი შვილი, რომელმაც იცის ფრანგული და რძალი, რომელმაც კარგად იცის ფრანგული, ინგლისური და ნემეცური. ამ გარემოებამ შეტის-მეტად შემოიწყო ხელი და ყველა ქვეყნებში გამაღვილა შეტყობა, გავცა და დათვლიერება ყველა იმისი, რაც ძლიერ საძველთა ადგილობრივი ენის უტოლინარისათვის.

პასპორტის დათვლიერების შემდეგ, დამოკნის ერთი უფროსი მოსამსახურე მოგვიბრუნდა და ამჟამად გვიბრუნდა ნემეცურად:

— თქვენ, ბატონებო, პასპორტები რატომ ავტორის რომელიმე კონსულს არ წარუდგინეთ რუსეთში და არ გადაიხადეთ 3 მ. და 50 კ.

— ჩვენ დრო მიგვიდიოდა, მიუგეთ მას, და ან კი სად უნდა გვექმნა ავტორის კონსული რუსეთში. თუ ფულია გადასახდელი, წილდეთ და პასპორტები დაგვიბრუნეთ. ძლიერ-ძლიაბით ავიღეთ პასპორტები და გვეგონა გვეშველებოდა და ვერ წარმოვიდგინდით, თუ აქაც ამას გვეტყოდა ვინმე!

— რადღაც თქვენ ვარშაიდან მოსულხართ, იქ შეგძლოთ გენახათ ავტორის კონსული, გამოცხადებოდით მას და ფულიც შეგეტანათ, რადგან ეს არ გინებებოთ, წაბმანდით ესლა უკანვე ვარშაიში, ნახეთ კონსული, გადაიხადეთ თითო პასპორტზე 3 მ. და 50 კ. შემდეგ დაბრუნდით და მაშინ შეგიძლიათ წაბმანდეთ უცხოეთისკენ, ნემეცური აზაყობით და სიღწეით გამოგვიცხადა მან თავის ხელ-ქვეითებთან ერთად.


— ჩვენ ისეთი აზრი გვქონდა შედგენილი ავტორ-უნგრეთის მოსამსახურეებზე, რომ სასულეობით ვერ წარმოვიდგინდით, თუ ვინმე აქ ისე უზრდელად მოგვეტყოდა, როგორც თქვენ ჩვენ გვეტყვიეთ. ესლა, სამწუხაროდ, დაგრწმუნდით, რომ

სახელმწიფო რაც უნდა განათლებული იყოს, მასში მინც აღმოჩნდებიან ისეთი მოსამსახურენი, რომელთაც არც ზრდილობა აქვთ და არც ცოდნა თვის სახელმწიფოს სარგებლობისა. სხვა სახელმწიფოდამ მოვდივართ. დარწმუნებული ხართ, რომ თითოეული ჩვენგანი საკმაო ფულს ტოებს თქვენს სახელმწიფოში და ნაცვლად ზრდილობიანად მიღებისა და ხელის შეწყობისა, თქვენ გვეუბნებით: „დაბრუნდით ისევ უკანვე, მონახეთ ავტორის კონსული, წარუდგინეთ თქვენი პასპორტები და ფული, შემდეგ დაბრუნდით და გასწიეთ ვენისკენ.“ რომელი გონიერი და ზრდილობიანი კაცი იტყვის ამას? სად ეძებნოთ ჩვენ თქვენი კონსულები? ფულის მოკლებზე უარს ხომ არ გეტყვენ. არ გნებავთ ასე მოიქცეთ? მაშ კარგად შეინახეთ ვე ჩვენი პასპორტები. მაღლობა ღმერთს მაგისტანა პასპორტებს ავტორიაში, სათათრეთში და სპარსეთში თხოულობენ მარტო, ჩვენ იქით არ მივდივართ. ვეროპის სხვა განათლებულ სახელმწიფოებში, დარწმუნებული ვართ, არსად არ მოგვთხოვენ მაგ პასპორტებს და ამიტომ მაგენი არც საქირთა ჩვენთვის. აა ჩვენ ვხსდებით ვაგონში და მივდივართ ვენისკენ. ჩვენ მოვხსენებთ თქვენს ამ გვარ ზრდილობიან მოქცევას თქვენს მინისტრს და აბა ენახოთ, თუ დავვაყავებთ, უხასუსებ ჩვენ.

ამ სიტყვების შემდეგ ჩავჯექით ვაგონში. მატარებელი გვერ კიდევ არ დაძრულიყო, რომ პასპორტები გამოგვიგზავნა ამ გაჯავრებულმა მოხელემ. ჩვენ გვეგონა, რომ ფულს მინც მოგვთხოვდნენ, მაგრამ წარმოვიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, რომ კაცს ერთი კაპიკი არ მოუთხოვინია ჩვენთვის. დილის ცხრა საათი იქნებოდა, რომ მატარებელი დაიძრა და ვენისკენ გავმგზავრეთ. ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ამ აზიერებული მოსამსახურის საქციელი ჩვენთვის აუხსნელი დარჩა. პასპორტებით აღბათ შეიტყო, მაგონ ჩვენი ვინაობა და ამისათვის პატივი გვცა, მაგრამ ფულს მინც რატომ არ მიიღო, ეს კი დღესაც აუხსნელია ჩვენთვის?..

დეკ. დ. დამაშაქ.





პარიზის მსოფლო გამოფენის უმაღრესი შესავალი კარები, რომლის ქვეშ სამი ათას კაცმდის დეტეა.

სწეული მწირი.

I

მგიებ უმწეოდ უნუგეშოდ,
 მწირი სწეული..

დამძლია სენმა, სულთა მხდელმა,
 მტანჯავს წყეული.

გხედავ, არვინ მყავს
 თანა მგრძნობი, ნუგემ მცემელი;
 რომ ამ ტანჯვის ეამს
 მომაშველოს მომეღელი ხელი.

ეცი, ჩემ ცხედარს
 არ დაცვარავს მშობელთა ცრემლი...
 ცოლ-შვილთა გლოვა,
 მწარე მოთქმა გულის დამწველი...

ვუწყვი, მე, უკვე რაც მომელის
 სულთა ბრძოლის ეამს;
 რომ არვინ მივის უტირისუფლოს
 ჩემს უსულო გვამს...

ვიცი ყველა ეს.. მაგრამ მაინც
 სულით მხნედა ვარ,
 რადგან სიყრმიდამ მარტოდა ვარ,
 ობლად ვშობილევარ...

წუგაზი.

II

გამხნევი სულით, მართალო!
 არ შეუშინდე ვნებასა;
 ხორციით იტანჯო, ნუ გვამა
 სულს მოუმზადებ შევებას..

ნურვისგან ელი დევნული
 თანაგრძნობას და შევებას;

სინართლისათვის მოსაგდი,
 ხომ კარგათ იცი, ყველასა...

ასეა წუთის სოფელი,
 ფუჭი და წარმავლია,
 დენა, ტანჯვა და სიობლე
 მართლის ხედრი და ვალია.

ილოცე სულით ეღირსო
 ზეციურ უკვდავ შევებასა,
 იობის მგზავსად იმიენდე
 ხორციელ ტანჯვა ვნებასა..

თ. ქაიხოსრო გელაგანი.



ბრძენ კაცთა კონების საღაროდგან ამოკრე-
 ბილი ახრები

ღ

ა ზ ო რ ი ზ მ მ ბ ი.

არაფერი ისე არ ემგვანება ჭყეროსტატს, როგორც
 ამხარტაგანი კაცი.

არასოდეს არ უნდა ენდო უსინდისო კაცს, თუ
 ეინდ ის დიდი ნიჭის ჰატრონიც იუას.

სეკარდმო ნიჭი—ეუგავა, რომელიც უველასათვის
 არ ანათებს.

დიდი ნაკლი მარტო დიდებულს კაცს შეიძლება
 რომ ქანდეს.



კამიდრება უფრო ადვილია, ვიდრე საამოვნების მიზნებს.

—

ხშირად საზოგადოების სიუყვარულს, ხალისიანი კაცი მოაზრებს ხოლმე.

—

ვისაც სუსტი ხასიათი აქვს, ის ნათესა და არა კაცი.

—

ჯერ სანამდისინ შეხვიდოდე, იფიქრე გამოსვლაზე.

—

დაუგვირდით ზატარას, შეიძლება იმას კარგი მომაგალი უქადის: ენა ხომ ზატარაა, მაგრამ გაუღენა მისი დიდა. ისტორიამ, დიდი ხანა, რაც ეს დაგვიმტკიცა.

—

დრო ფული არის, ვინც დროს ცუდად და უბრალოდ ღაზარაყუდ ჰქვარავს — ის ნიადაგ ღარბია.

—

ვისაც ნდობა აქვს დაკარგული, ის მეტს აღარაფერს დაჰქვარავს იმაზედ უკეთესს.

—

ზარმაცმა უოკელთვის იცის რომელი საათია.

—

მუნჯის ენა ჯობია ტუთის ენას.

—

გადამდები ავთმყოფობა და შიშშილი — მეკობრეობა.

—

დღევანდელი დღე ხშირად გუაქარგვიებს ხოლმე ზეაღინდელს.

—

ფულაზედ უკეთესი გრამმატიკა არის კარგი ჩვეულება.

—

ფულები — ძლიერ ცუდი ბატონია, მაგრამ მასთანავე კარგი მოსამსახურეა.

—

რაც არ არის საჭირო, ის უოკელთვის ძვირია.

—

ბევრი ნათესი კაცი ხშირად გავს განჯინას, გავსილს ძველი ტანისამოსით, რომელნიც ვერასოდეს ვერ იხილავენ შიშის შუქს.

—

თუ გინდათ რომ დამოუკიდებლათ იცხოვროთ, ნუ აიღებთ ფაქს.

—

არ არის ისეთი ადამიანი, რომელსაც არ გამოეცდოს უბედურება და არ ქონდეს ნაკლოვანება.

დათიკო ლამაზიძე

† ნაქაროლოგი

თვრამეტ ივლისს რაჭაში, სოფელ კვირიკე-წმინდაში გარდაიცვალა სერგი მ. მესხი, რომელმაც ამ ერთი წლის წინად დაასრულა სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში. პირველ დასაწყისი სწავლა მან მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. განსვენებული ჩინებულ ნიჭს იჩენდა სწავლაში და სემინარიაში შესვლისთანავე აზრად ქონდა სემინარიის შემდეგ სწავლა დაემთავრებია სადმე უმაღლეს სასწავლებელში. მაგრამ ბედმა ადრევე უმუხთლა და მან ვერ მიადწია მიზანს. მისმა ბუნებით სუსტმა აგბუელობამ ვერ აიტანა სხვა მოწოდებებთან ერთად კორპუსში ცხოვრება და სემინარიის მეოთხე კლასიდანვე დაიწყო უქეიფობა. მშობლები კარგად გრძნობდნენ. თუ როგორი ბოლო ექნებოდა მათი შვილის უქეიფობას, და ამისათვის ურჩევდნენ შვილს სწავლისათვის თავი დაენებებია. მაგრამ განსვენებული არვის რჩევს არ იღებდა; მას სურდა სწავლა

და სურდა შემწარა მიხედავებო. იგი შეეჭია ბუნებას მაგრამ ბუნებამ თავისი გაიტანა. უკანასკნელ კურსზე გლეხობა, რომელიც ვერ უმოწყალოდ ქვეტს ახალგაზღვრებს, იქნა მასში თავი და ერთი წლის შემდეგ კურსის დამთავრებამდე სამუდამოდ გამოასალმა იგი სიცოცხლეს. როგორც მიცვლების დღეს, აგრეთვე განვენებაზედაც დიდ ძალმა ხაღხმა მოიქრა თავი. ყველანი გუდითადა მწუხარებით მოსტყვამდენ განსვენებულს და თავის გულწრფელ მოაქმაში ხატავდენ განსვენებულისადმი თავის უზომო სიყვარულს.

მართლაც დიდი იყო განსვენებული, სერგი მაქსიმეს ძე ყველასგან მწუხარებასა: ძვირად შესვლება კაცი ცხოვრებაში ისეთ ბუნებით შემკულ ადამიანს, როგორც იყო განსვენებული სერგი. მართალია, იგი კიდევ არ იყო ცხოვრების ასპარეზზე გამოსული. მას ერთი წელიწადიც არ უვლია კარგით მყოფს კურსის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ორი საათის მუსიკა მასთან ყველას სიყვარულს ჩაუნერგავდა გულში, ყველას ცხადათ დაანახებდა, რომ იგი იყო მომზადებული ჭეშმარიტი ცხოვრებისათვის. იგი არ იყო გაჩენილი ქვეყანაზედ მხოლოდ ერთად ერთი თავისი თავის კეთილ-მდგომარეობისათვის: მას ცხოვრებაში მანდა არა ჰქონდა ეზრუნა მხოლოდ თავის თავზე და ნათესავებზე. იმისათვის ყველა ერთი იყო ნათესავი და უნათესავი, ყველანი უყვარდა, ყველასათვის კეთილი სურდა და ყველას პატივს სცემდა, ვისშიაც კი იპოვდა იგი პატიოსნებას. უმთავრესს საგანს მისი სიყვარულისა შეადგენდა დაბალი და ხელ-მოკლე ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ სერგი არც მაინც და მაინც დარიბი დედამამივილი იყო, სწავლითაც ცოტად თუ ბევრად გაჩრევილა უბრალო ხალხისგან, ის არ ამაუბდა ამ უკანასკნელთა წინაშე, არ იყურებოდა, ზოგიერთებავით, რადაც თავად მიუწვდენელ სიმაღლიდან. არამედ ყველასთან თავდაბალი იყო, ყველას უყურებდა

ის, როგორც თავს ძმას და მოსიყვარულ ნათესავებს.

ის არვის არ შეაწყვედა ხოლმე დაბალი ხალხის უსაბუთოდ დაჩაგრვას. უსამართლოებას ააშფოთებდა და ადელევიტი მწუხარებით იტყოდა ხოლმე: „მე სესტი ხასიათის კაცი ვარ, მე მსურს იმდენად შევიმუშავო ხასიათი, რომ შემეძლოს ყოველთვის გადავედგო უსამართლოებას, თუნდაც-კი ჩემმა ამისთანა საქციელმა სიცოცხლემეც კი შეიწიროს ჩემიო“. მშვიდ, უწყინარ, ყველას მოსიყვარულე ხასიათთან ერთად განსვენებულის ბუნებას ამკობდა მტკიცე სარწმუნოება. თვით უბრალო მუსიკაცი კი მისი დაბალ ხაღხთან (რომლებთან ძლიერ უყვარდა განსვენებულს მუსიკა) გაჩინებოდა ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ხასიათით. თავის ტკბილ მუსიკაში იგი უხსნიდა გლეხებს, თუ როგორ ენდა იცხოვროს კაცმა ქვეყანაზე, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ზნეობრივ და სარწმუნოებრივ მხარეებს ცხოვრებაში. დიდა მორწმუნე კარგით მყოფობის დროს განსვენებული დარჩა დიდა მორწმუნე თვით სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიაც. ამ უკანასკნელ დროს იგი თითონ ხედავდა, რომ მისი მორჩენა ადარ შეძლებოდა, იგი წვალობდა და იმედი არა ჰქონდა მორჩენისა, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა, რაც ხშირი მოვლენაა ახლანდელ დროში. ის ქრისტიანული სიმშვიდით ითმენდა ყოველივე ტანჯვა წვალებას. იმედ დაკარგული ამ ცხოვრებაზე, იგი იმედოვნობდა მომავალით. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში გულმოდგინეთ დოცულობდა იგი დემეტს და სხვებსაც ეხეწებოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ელოცათ მისთვის. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, ძმაო სერგი!



ახალი ამბები და შენი შენები.

უწმიდესის სინოდის განმარტებით, იმ შემთხვევაში, როცა რაიმე მოზნისა გამო საღმრთო სჯულის სწავლებას სახალხო პირველ დაწყების სკოლაში ვერ იკისრებს მახლობელი მრევლის მღვდელი, უნდა მოიძებნოს ამ საქმისათვის უმრევლო მღვდელი ან დიაკონი. თუ ესეც არ მოხერხდა, შეიძლება ერის კაციც მოიწვიონ, თუ რომ მას საღვთის-მეტყველო განათლება აქვს მიღებული. მაგრამ ამისათვის ყოველთვის ადგილობრივის ეპისკოპოსის ნება-რთვაა საჭირო და ამ გვარ მასწავლებელს არა აქვს უფლება „საღმრთო სჯულის მასწავლებლის წოდებისა“. რაც შეეხება იმ პირებს, რომელთაც სასულიერო განათლება არ მიუღიათ, ამათ მოწვევა საღმრთო სჯულის მასწავლებლად შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულს გარემოებებში და ყოველი ამ გვარი შემთხვევა უნდა მოახსენოს ადგილობრივმა ეპისკოპოსმა უწმიდეს სინოდს, ამ გვარ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად უწმიდესმა სინოდმა დაადგინა ეთხოვოს საერო განათლების სამინისტროს, რომ მან ახალი სკოლების გახსნის ნება არ მისცეს მათ, ვისაც საღმრთო სჯულის მასწავლებელი წინდაწინვე არ მოუძებნია.

უწმიდესის სინოდის დადგენილებით, 1900 წლ. 2—9 აგვისტოს № 3, 167-ით, გარდაწყვეტილია: რომ ამიერიდგან სააღდგომო მისლოც ღია ბარათებზედ წმინდა და საღმრთო საგნები არ იყოს გამოახსული, რადგანაც ეს გარემოება მორწმუნე მართლმადიდებელთა ქრისტიანთა სარწმუნოებრივის გრძნობას შეურაცხყოფს.

სენაკის მაზრის უფროს და დაბა ახალ-სენაკის მუხრანელები შუამდგომლობა დაუწყიათ ახალ-სენაკის ქალაქთ გადაკეთების თაობაზე. როგორც შედგენილი ხარჯთაღრიცხვიდან ჩანს, მარტო 10% შემოსავალი უძრავ მამულებიდან თურმე 10,000 მანეთამდის ავა.

სატახტო ქალაქის გაწვევების სიტყვით, უმთავრესს სასულიერო უწყებაში აღუძრავთ კითხვა საეპარქიო სამღვდლოებათა კრებების წეს-რიგის შეცვლის შესახებ.

ნოსკოვის სასულიერო აკადემიაში ახლად დამდგარ სამოსწავლო წლიდან არსდება ინგლისურენის კათედრა.

გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ ყოველ სამგზავრო მატარებელში უთუოდ უნდა იქნასო პატარა აფთიაქი და უნდა იყოს ერთი ფელდშერი.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ტფილისში ჩამოვა 50-მდე ფრანგი სტუდენტი, რომელნიც მოგზაურობენ ამ ზაფხულს რუსეთში.

ამ ცოტა ხანში ერთი უბედურობა მოხდა ხარკოვის კლასიკურ გიმნაზიაში. მეშვიდე კლასის მოწაფემ მოკლა რევოლვირით გიმნაზიის დირექტორი და სასიკვდილოდ დასჭრა ლათინური ენის მასწავლებელი. ეს შაგირდი გაუსხნელ შაგირდად უცვნია მასწავლებელს და ლათინურ ენაში ორი ნიშანი მიუღია—და მესამე წელიწადს დაუტოვებიათ უმჯობესად გახსნილობისათვის.—მაგრამ მესამე წელიწადს დატოვება არავისი არ შეიძლება—და ამიტომ დაუთხოვიათ. შაგირდი ამ გარემოებას აუღელვებია და განუზრახავს დირექტორის და მასწავლებლის მოკლა. დირექტორისათვის ქინჩში მოუხვედრებია ტყვია და ის მაშინვე დაკემულა და მომკვდარა. მერე მასწავლებელთან შესულა და იმისათვისაც უსვრია და დაუჭრია. შემდეგ თვითონ წასულა პოლიციაში და განუტყუაღებია ეს გარემოება. პოლიციას დაუკავებია იქვე. საქმის გამოძიება სწარმოებს. მოსწავლე ოცი წლის არის და ვაჭრის შვილია, რომელიც დედის ერთადერთი შვილი ყოფილა გვარათ ივანოვი... (Курьер № 235)

მაღალ ყოვლად სამღვდლო მიტროპოლიტი ანტონი კისლოვოდსკიდან იალტისკენ წაბრძანდა და იქ დარჩება თითქმის სექტემბრის შუამდის.

ყოვლად სამღვდელთა იმერეთის ეპისკოპოსს
 ლეონიდს ამ მცირე ხანში მოუა უკაზი სინოდისა
 და მალე წამობრძანდება თავის ეპარქიაში. ამბობენ,
 რომ შემოსვლისთანავე გელათის მონასტერში წაბრ-
 ძანდება. ასე მოიქცა ყოვლად სამღვდლო განსვენ-
 ნებული გაბრიელი და მეტად სასიამოვნოა ექნება
 პირველად მობრძანება მისი გელათში, ამ ყველა
 ქართველთათვის სასიკადულო მონასტერში. ეს ხმა,
 დარწმუნებული ვართ, ყოველ ქართველს იმედს და-
 უბადებს, რომ გელათის მღვდამარება ცოტათ
 მაინც გაუშჯობესდება.

* *

პარიზიდან ჩვენი შესანიშნავი თვლის ექიმი
 ბატონი ტარსაიძე დაბრუნდა თფილისში ამ
 თვის 27 რიცხვს. დაბრუნდა აგრეთვე ექიმი მხე-
 ძეც, ექიმი გედევანიშვილი შვეიცარიაში წაივდა
 დასასვენებლად. ექიმი ვ. დამბაშიძე იტალიაში მო-
 გზაურობის შემდეგ, შვეიცარიის მთებში წაივდა
 ქლერქიანი ავთმოყვების სანატორიუმის დასათვა-
 ლიერებლად. შემდეგ ბერლინში გაემგზავრება და
 ათს სექტემბრისათვის ჩამოვა ყვირილაში.

* *

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ მაღალ-
 ყოვლად უსამღვდლოდესი ფლობიანე, ექსარხოსი
 საქართველოსა პირველ ოკტომბრამდე დარჩება
 პეტერბურგში.

* *

ახალი მიტროპოლიტი კიევისა მაღალ ყოვლად
 სამღვდლო ფეოგნოსტი სამოცდა-ათი წლის ბრძან-
 დება. ის წამობრძანდა ნოვგოროდიდან, გამოიარა
 რიაზანის ეპარქიაში სადაც თავის დედა ინახულა
 და შემდეგ კიევში წაბრძანდა. ნოვგოროდიდან
 დიდის ამბით გააცილეს.

* *

ცნობილს საბინისს, რომელიც ღარიბულად
 ცხოვრებდა, და რომელსაც ზოგიერთი პირები შემ-
 წოებას აძლევდნენ დღესასწაულ დღეებში, გარდა-
 ცვალების შემდეგ ექვს ათასი მანეთი დარჩენია და
 ხუთი ათას მანეთამდე საღირალი ნივთები, ყველა
 ქონება ანდერძით დაუტოვებია დისათვის. ამანთან
 მის საღვამში უნახავთ ბევრი ძვირფასი ძველი ხე-
 ტები ზოგიერთი ჩვენი მონასტრებისა.

* *

ამას წინაღ ბერლინში გამოუციათ საყურად-
 ლებო წიგნი ჩინეთის შესახებ. გახვებში ამ წიგნი-
 დან გადაბეჭდილია ჩინეთის ხალხის ბრძნული თქმუ-
 ლებანი. აი რამდენიმე ასეთი თქმულება:

„თუ გინდა ნათესავს უყვარდე, ნისიად მიპყიდე
 რამ, მაგრამ ფუღს ნურასოდეს ნუ სთხოვ.“

„თუ დიდიარი ხარ—მრავლისაგან მრავალი
 ნათესავი გეყოლება, თუ ღარიბი—ყოველთვის
 მარტო-ხელი ექნები.“

„კაცი სახელმწიფოს უფრო ადვილად განაგებს,
 ვიდრე ოჯახსა და დედაკაცს.“

„დიდი ქუა იმას არა ნიშნავს, რომ იგი საყ-
 მაოა.“

„ვისაც არ უნდა მოსტყუეჯეს, სამ დუქანში
 უნდა იკითხოს საქონლის ფასი.“

„დიდი სიხარული მხოლოდ დიდის ტანჯვით
 მოიპოვება.“

„უჭკვიანესი დედაკაცი ჩვეულებრივ უჭკუო
 კაცსა ჰვდება ცოლად.“

„საბატონოები ყოველთვის დაკეტილია, მა-
 გრამ ხალხით მაინც საესეა, ეკვლესიები-კი მუდამ
 ღლია და მაინც ცარიელია.“

„წვიმას უფრო ადვილად შეაჩვრებ, ვიდრე
 ქალს გათხოვებაზედ ხელს ააღებინებ.“

„საბატონოში უფრო შეჭვდები პატიოსან
 კაცს, ვიდრე საბაჟოში.“

* *

ლონდონიდან სწერენ რუსულ გახვებებს:
 „როგორც ამ ბოლოს დროს მიღებულ ცნობები-
 ღდან სჩანს, ჩინეთის იმპერატორს სულ უკანასკნელ
 დრომდე არაფერი სცოდნია ჩინეთში მომხდარ ამ-
 ბებისა. იმპერატორს იმპერატორი დამწყვედიული
 ჰყოლია და არაფრისაგან არაფერს არ ატყობინებდა
 თორემ, ყველა ბრძანებას თუმცა იმპერატორის სა-
 ხელს აწერდნენ, მაგრამ იმპერატორს ამ ამბავს არ
 აგებინებდნენ. მხოლოდ როდესაც ლიხუნგ-ჩანგს
 მოუთხოვნია იმპერატორისათვის, რომ ყოველივე
 ბრძანება უეჭველად იმპერატორს მოაწერანონ
 ხოლმე, ამ გაუღენიანის კაცის სიტყვას ვეღარ გა-
 დაუხვიეს და ყველაფერი გააგებინეს იმპერატორს.
 იმპერატორს საშინლად სწყენია, როდესაც გაუგია,
 რომ ჩინეთსა და სახელმწიფოთა შორის უთანხმოება
 ჩამოვირდა და მანინე ზავის ჩამოვდება მოუთხო-
 ვია“.





სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

მღვდელთა მსახურების წეს-რიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საჭირო ცნობანი სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურათისის.

(თარგმნილი რუსულიდან მეექვსე გამოცემისა).

გაგრძელება *)

თ ა ვ ა მ ე ო თ ხ ე .

იპოდიამოქების მოქმედების წეს-რეკა მღვდელ-მთავრის წირვაში.

იპოდიამოქები უნდა მოვიდნენ ეკლესიაში წირვის დარეკადი და მოამზადონ მღვდელ-მთავრისათვის შესაბამისი, ხოლო საღმრთო მსახურებისათვის ყოველივე საჭირო სამკაულები და სახელღობი: დიდი და პატარა ომფორი, ენქერი, საკოსი, სამკლავები, სარტყელი, ოლარი, სტიხარი, მანტია, პანაგია, მყერდის ჯვარი, ორი დიდი ლანგარი (თეფში), მიტრა, სამღვდელ-მთავრო კონდაცი, სავარცხალი, ხელსაბანი ნიტრა და თეფში, პირსახოცი, აწვივები, სერაფიმ-ქნრუბიმი (რიპიდები), კვერთხი, ერთი სასანთლე სანთლით, ჯვარის სანთლები თვის სასანთლეებში ჩაწყობილი (დიკირი და ტრიკირი), სასამეველე (სამეველის კურქელი), ლანგარი და ფარნა გადაფარებული ჯვარის დასაცვენებლად, ხელდასასხმელისათვის თეფშუმი, დასაკეცი სკამი თვისი ბალიშით, წითელი მაუდი, შესამოსავი კათედრა, საჭირო სამღვთო წიგნები, სტიხრები ოთხი პატარა მკალობლებისათვის და აგრეთვე მეკვერთხისა და მესანთლისათვის, პატარა ფილონი ხელდასასხმელისათვის, მაკრატელი და ყოველივე საჭირო შესამოსელი ხელდასასხმელისათვის. სამღვდელ-მთავრო

შესამოსელი უნდა დაიწყოს შემდეგ რიგზე: ა) ქვემო ომფორის დასდებენ დიდ თეფშზე ისე, რომ ბოლოები მარცხნისკენ ჰქონდეს მიქცეული, ჯვრები ზევით, ხოლო ვარსკვლავი ქვემოთ; ბ) საკოსი გახსნილი უნდა იყოს და ისე იდვას დაკეცილი, რომ ვარსკვლავი ზევით ჰქონდეს მოქცეული; გ) სამკლავები გაწეული და წამოსაცემლად მომზადებული; დ) სარტყელი ჯვრით ზევით მიქცეული; ე) სასარტყლზე ენქერი; ვ) ოლარი სამდ დაკეცილი; ზ) ოლარზე სტიხარი დაკეცილი ისე, როგორც საკოსი, დაწყობის დროს იპოდიამოქებმა უნდა განიხილონ, რომელიმე შესამოსელს ფოლაქი ხომ არა აქვს მოწყვეტილი, ან ღილი მორღეული. ყოველ შემთხვევაში საჭიროა, მზათ იქონიონ ენგის და ძაფი, ქინძისთავი, მაკრატელი და ღილები.

ამის გარდა იპოდიამოქების მოვალეობაა, დააფინონ არწივები ტრაპეზის წინ, ამბიონზე, სამეფო კარებთან და შესამოსავ კათედრაზე. შემდეგ შემოსებთან და უცდიან მღვდელ-მთავრის მობძინებას.

როცა მღვდელ-მთავარი შევა ტაძარში და დადგება არწივზე, იპოდიამოქები მოასხამენ მანტიას: პირველი იპოდიამოქი მოასხამს მხრებზე, ხოლო მეორე ასწევს ბრტყლის ჩაქას და გადმოაფენს მანტიაზე. ჯვარზე მთხვევის შემდეგ, როცა თანაწირველი სამღვდლოება გამოწყება მღვდელ-მთავრის ამბიონისკენ, იპოდიამოქებიც წამოვიდნენ უკან და ამ დროს პირველი იპოდიამოქი წამოიღებს არწივს, რომელზედაც მღვდელ-მთავარი იდგა, და მაცხოვრის ხატის წინ დააფენს. როცა მღვდელ-მთავარი ამბიონიდან მაცხოვრის ხატისკენ წავა სამთხვევად, აიღებს მეორე იპოდიამოქი ამბიონზე დაფენილ არწივს და მღვთის-მშობლის ხატის წინ დააფენს. ხატების შემთხვევის შემდეგ არწივებს შეიტანებენ საკურთხეველში.

შემდეგ შესავალი ლოცვების წაკითხვისა და ტაძარში მდგომარე ერის კურთხევისა მღვდელ-მთავრის მიერ, იპოდიამოქები გამოწყებიან მღვდელ-მთავრის ამბიონიდან შესამოსავ ადგილობრი და, როცა იგი თანაწირველ სამღვდლოებას ჯვარს დასახავს და ლოცვა-კურთხევას მისცემს, მოხდიან მანტიას, გააძრებენ ანაფორას და შემოსვენ ყოველივე სამღვდელ-მთავრო შესამოსლით. შემდეგ მიართმევენ ჯვარის სანთლებს, ჯვარის დასახვის შემ-

*) იხ. „მწეკმისი“ 1900 წ. № 12

დღე ისევ ჩამოართმევენ და ეამბორობიან ხელგებუ-
ლიაკენების მიერ მღვდელ-მთავრისადმი კმევის დროს,
იპოდიანოქები დადგებიან მღვდელ-მთავრის წინ,
კმევის აღმსრულებელ დიაკენებთან ერთად თაყვანის
ცემენ და შემდეგ შევლენ საკურთხეველში: პირვე-
ლი იპოდიანოქი სამხრეთის კართთ, ხოლო მეორე
ჩრდილოეთის კართთ.

მეექვსე უამნის დაწყებისას იპოდიანოქები მო-
ამხადებენ ხელსაბან წყალს: მოახვევენ მარგებზე
პირსახოცს რომელიმე დიაკონს და მისცემენ ხელში
თევშს, პირველი იპოდიანოქი დიპქერს წყლიან ქურ-
ქელს და გამოვლენ საკურთხეველიდან ჩრდილოეთის
კართთ. როცა გაივლიან ამბიონს, მობრუნდებიან,
ჩაიყენებენ შუაში დიაკონს და ჰყოფენ ვედრებას
აღმოსავალით. შემდეგ თაყვანსცემენ მღვდელ-მთა-
ვარს და მიაართმევენ ხელსაბან წყალს. დიაკონი
დიპქერს ორივე ხელით თევშს, პირველი იპოდი-
ანოქი წყალს დაუსხამს, ხოლო შემდეგ ორივე იპო-
დიანოქები მიაართმევენ პირსახოცს მღვდელ-მთავარს.
ხელის შეხორცის შემდეგ ისევ მიიღებენ და მოახ-
ვევენ მხარებზე დიაკონს. ბოლოს ემთხვევიან ხელგებ-
ზე სამნივე მღვდელ-მთავარს და შევლენ საკურთ-
ხეველში:

უკეთუ სტიხრის კურთხევაა, ან და იპოდი-
ანოქად ხელდასხმა, მაშინ იპოდიანოქები გამოვლენ
ხელ დასასხმელთან ერთად, ხოლო დიაკონი მარტო
გამოიტანს ხელ-საბანისათვის და აგრეთვე ხელ-და-
სასხმელისათვის ყოველივე საქირო სამკაულებს და
დადგება არქიდიაკენის უკან. როცა ამ სამკაულებს
ჩამოგარამებენ, შევა ისევ საკურთხეველში.

ლიტურგიის დაწყების სამეფუთო კარებს გა-
აღებენ იპოდიანოქები და უფროსი თანამწირველი-
სათანა და არქიდიაკენისათანა თაყვანისცემენ მღვ-
დელ-მთავარს.

მკირე გამოხვლის დაწყებამდე იპოდიანოქები
დაფენენ არწივებს ტრაპეზის გარეშემო და იმ ად-
გილზე, სადაც კმევის დროს უნდა შეჩერდეს
მღვდელ-მთავარი. ამის შემდეგ მეორე იპოდიანოქი
აანთებს ტრიკირს, ხოლო პირველი იპოდიანოქი
დააფენს არწივს ტრაპეზის წინ, როცა უფროსი თა-
ნამწირველი სახარებას მისცემს არქიდიაკონს.

მკირე გამოხვლის დროს იპოდიანოქები გა-
მოჰყებიან დიაკენებს: წინ წამოვა მეორე იპოდი-
ანოქი, მეორეს გამოჰყებება პირველი და ამ რიგად

შემოვლიან შესამოსავ ადგილს, დადგებიან მღვ-
დელ-მთავრის წინაშე და სხვებთან ერთად თაყვანის
ცემენ მას. როცა მღვდელ-მთავარი აკურთხევს შე-
სავალს და ემთხვევა წმ. სახარებას, იპოდიანოქები
მიაართმევენ ჯვარის სანთლებს და ემთხვევიან ხე-
ლებზე. შემდეგ ამოუდგებიან მღვდელ-მთავარს უკან
და სხვათა თანა შევლენ საკურთხეველში, გააგაგრძე-
ლებენ რა გამოვლით თაყვანის ცემის გალობას...⁴

ტაძარში კმევის დროს მღვდელ-მთავრის მიერ,
იპოდიანოქები აიღებენ საკურთხეველში დაფენილ
არწივებს. დატოვებენ მხოლოდ ტრაპეზის წინ,
ტრაპეზის მარცხენა ყურესთან აღმოსავლეთისაკენ
და მაღალ დასაჯდომელზე.

როცა მღვდელ-მთავარი ტაძარში კმევის დასა-
რულებს და საკურთხეველში შევა ჯვარის სანთელს
ჩამოართმევს მეორე იპოდიანოქი, ხოლო პირველი
არქიდიაკონს და შემდეგ დადგებიან ორნივე ტრა-
პეზის ზემოთ, მღვდელ-მთავრისაკენ მხედველი,—
პირველი მარჯვენით, მეორე მარცხნით—და არქი-
დიაკენის მიერ მღვდელ-მთავრისადმი კმევის დროს
თაყვანის ცემენ სამ გზის ჩვეულებისამებრ
თვის-თვის ადგილებზე დარჩებიან.

კონდაკის გალობის შემდეგ, პირველი იპოდი-
ანოქი შეუცვლის ჯვარის სანთელს მეორე იპოდი-
ანოქს—ტრიკირს მისცემს მას, დიკირს მიიღებს
თვითონ, ხოლო „წმიდაო ღმერთო!“— გალობის
დროს დიკირს არქიდიაკონს გადასცემს, თვითონ
გამოართმევს ტრიკირს მეორე იპოდიანოქს და და-
იქვრს ხელში.

როცა მღვდელ-მთავარი მაღალი დასაჯდომე-
ლისაკენ წამოსვლას დააპირებს, მეორე იპოდიანოქი
ჩამოართმევს ჯვარის სანთელს და დადგამს ტრაპე-
ზის ზემო კიდზე მარჯვნივ; შემდეგ აიღებს საკ-
მეველის ქურქელს. მაღალ დასაჯდომელზე დადგო-
მის დროს პირველი იპოდიანოქი მიაართმევს მღვ-
დელ-მთავარს მეორე ჯვარის სანთელს, ხოლო ჯვა-
რის დასახვის შემდეგ მიიღებს და დადგამს ტრაპე-
ზის მეორე კიდზე, დიკირის გასწვრივ.

როცა მღვდელ-მთავართან მოვა არქიდიაკონი
საცეცხლურით, ხოლო პირველი დიაკონი სამოცი-
ქულოთი, ამ დროს მათთან ერთად მეორე იპოდი-
ანოქი მიაართმევს მღვდელ-მთავარს სასამეველეს.
სამეველის ჩაკმევის შემდეგ საცეცხურში, იპოდი-
ანოქი ემთხვევა ხელზე მღვდელ-მთავარს და სასაყ-

მეგვს თვის ადგილზე შეინახავს. მერე მივლენ ორნივე იპოლიაოქები მეორე დიაკნითურთ მღვდელ-მთავრის წინაშე და როცა იგი იტყვის: „მშვიდობა ყოველთა“, თაყვანისცემენ მის და მოხდიან ომფორს, რომელსაც დაუფენენ მკლავებზე დიაკონს. ხოლო შემდეგ სამოციქულოს კითხვაში ამოუდგებიან გვერდში მღვდელ-მთავარს, ერთი აქეთ, მეორე იქეთ.

სამოციქულოს წაკითხვის შემდეგ იპოლიაოქები თაყვანისცემენ მღვდელ-მთავარს, აიღებენ ტრაპეზიდან ჯვარის სანთლებს და ამოუდგებიან გვერდში, აქეთ-იქით—ტრაპეზის წინ მდგომარე მეორე დიაკონს, რომელსაც ომფორი უჭირავს. აქედან თაყვანისცემენ მღვდელ-მთავარს სამივე არქიდიაკვნისათანა და გამოვლენ საკურთხეველიდან სამეუფო კარებით. აქ იპოლიაოქები შემოუვლიან ანალოიას და დადგებიან სამეუფო კარების წინ სახარების დაწყებამდე. ხოლო შემდეგ მიუახლოვდებიან ანალოიას და სახარების გათავებამდე დგანან აქეთ-იქით, ერთი მეორის პირდაპირ.

სახარების წაკითხვის შემდეგ იპოლიაოქები მთართმევენ მღვდელ-მთავარს ჯვარის სანთლებს, ხოლო ჯვარის დასახვის შემდეგ ისევე მიიღებენ, წაიღონ და დადგებიან ტრაპეზის ზემოთ: პირველი იპოლიაოქი მარჯვნივ, მეორე ბარცხნივ. აქედან თაყვანისცემენ მღვდელ-მთავარს და სანთლებს დასდებენ ტრაპეზზე. შემდეგ ვედრებნა ჰყოფენ, თაყვანისცემენ კვალად მღვდელ-მთავარს არქიდიაკონთან ერთად და დადგებიან თვის თვის ადგილებზე მაღალი დასაჯდომელისაკენ პირ-შექცევ.

მრჩობლი კვერქსის თქმაში, როცა დიაკონი იტყვის: „მერვეკა გვევდრებით უწმ. და უმართეზელესისა სინოდისა და ყოვლად სამღვდელთა...“, იპოლიაოქები გლობან სხებთან ერთად „უფალო შეგვიწყალონ“-ს; ამის შემდეგ გააქრობენ ჯვარის სანთლებს და ტრაპეზიდან სამკვეთლოზე წაიღებენ. ამასთანავე პირველი იპოლიაოქი ტრაპეზის ყურესთან მდებარე არწივსაც წაიღებს.

„რომელნი ქერუბიმათა“ გლობის დაწყებისას იპოლიაოქები მთართმევენ მღვდელ-მთავარს ხელსაბამ წყალს სამეუფო კარებში ხელ-დასახხმელად განმზადებულისა, ანუ რომელიმე ეკკლესიის მსახურისათანა იმ წესით, როგორც შეეკესე ფანზე. ხელის ბანის შემდეგ დაუფენენ არწივებს სამკვეთლოს წინ ერთი-მეორის შემდეგ.

მეორე დიდი გამოხვლის მზადებაში პირველი იპოლიაოქი დასდებს თევშზე ომოფორს და ზოციდან დაადგამს მიტრას; გამოხვლის დროს გამოჰყვება მეკვერთხეს, გამოიტანს თან თევშსაც და, როცა სამეუფო კარებთან მივა, გაჩერდება მარჯვნივ. როცა მღვდელ-მთავარი გამოვა სამეუფო კარებიდან ფეშუშუმის ჩამოსართმევად, პირველი იპოლიაოქი მთართმევენ თევშს და ეტყვის: «მღვდელ-მთავრობა შენი მოიხსენოს უფალმან ღმერთმან...» მღვდელ-მთავრის მიტრაზე მთხვევის შემდეგ იპოლიაოქი შევა საკურთხეველში სამეუფო კარებით, მიტრას ტრაპეზზე დასდებს, ხოლო თევშს ომფორითურთ შეინახავს თვის ადგილზე. ამის შემდეგ აიღებს სამკითხველოს წინ დაუფნილ არწივებს და უკეთუ მღვდლათ ხელდასახხმელია ვინმე, მაშინ პირველი იპოლიაოქი დასდგამს სკამს ტრაპეზის მარცხენა ყურესთან და წინ არწივს დააფენს, შემდეგ მივს სამეუფო კარებთან, ამოუდგება მარცხნივ მღვდელ-მთავარს და ფეშუშუმის წამოსვენების დროს გამოჰყვება მღვდელ-მთავარს ტრაპეზამდე. ასევე მოიქცევა მარცხნივ მოსვენების დროსაც, მხოლოდ ახლა დაუდგება მარჯვნივ¹⁾. ამის შემდეგ გამოვა პირველი იპოლიაოქი სამეუფო კარებიდან, გამოართმევენ ჯვარის სანთელს ახალ ნაკურთხ იპოლიაოქს, უკეთუ არის, უკეთუ არა, სხვა რომელიმე მსახურს და უცდის მეორე იპოლიაოქისათანა მღვდელ-მთავრის გამოხვლას. გამოხვლისას მთართმევენ ორნივე ჯვარის სანთლებს, ჯვარის დასახვის შემდეგ ისევ ჩა-

¹⁾ უკეთუ მღვდლათ ხელ-დასახხმელია ვინმე, აჩადაკვნის კმევის შემდეგ იპოლიაოქები მთართმევენ მღვდელ-მთავარს ზარას ომფორს და აკრეფენ ტრაპეზის გარეშე დააფენს არწივებს. ხელ-დასახხმელზე სიადუმლო ღოტვის კითხვაში მღვდელ-მთავრის მიერ, პირველი იპოლიაოქი მთართმევენს სამღვდელთა შესამოსელს: ოფარს, ფაფარს, სარტყელს, კონდაქს და შემდეგ მთართმევენ უფროს თანამწიწრეებს. ამავე დროს მეორე იპოლიაოქი აიღებს სკამს, ტრაპეზის წინ არწივებს დააფენს და ჯვარის სანთლებს ახსიებს. როცა „აქსიოსს“ დასრულებენ, ორნივე იპოლიაოქები მთართმევენ მღვდელ-მთავარს, ჯვარის დასახვის შემდეგ ისევ ჩამთართმევენ. ამის შემდეგ დადგებიან ტრაპეზის ზემოთ, თაყვანისცემენ აქედან მღვდელ-მთავარს და ჯვარის სანთლებს დასდგამენ სამკვეთლოზე.



მორათმევენ, შეიტანებენ საკუროთხველში და დაღებებიან ტრაპეზის ზემოთ. აქედან თაყვანის ცემენ მღვდელ-მთავარს და შემდეგ სანთლებს თვის-თვის ადგილზე დასდგამენ.

ღიდი გამოსვლისას მეორე იპოლიაჩოქი მოამზადებს ჯვარის სანთლებს, ტრიკირს ახალ ნაკურთხ იპოლიაჩოქს მისცემს- უკეთუ არის, უკეთუ არა,— სხვა რომელიმე მსახურს, და გამოჰყვება მას. როცა სამეუფო კარებთან მოვლენ, მეორე იპოლიაჩოქი მაცხოვრის ხატის წინ გაჩერდება და პირს იმისკენ იხამს, ვისაც ტრიკირი უპირავს და რომელიც მღვთის-მშობლის ხატის წინ დგას²⁾.

ასამალღებელის წინ: «ვიყვარებოდეთ ურთიერთ არს...», პირველი იპოლიაჩოქი დააფენს არწივს ტრაფეზის მარჯვენა ყურესთან, ხოლო როცა მასზე დადგება მღვდელ-მთავარი, ტრაპეზის წინ დაფენილ არწივს აიღებს, სანამ თანამწირველი სამღვდლოება ისწამდეს არ ემთხვევა. შემდეგ ისევ დააფენს იმ ადგილზე, ხოლო მარჯვენა ყურესთან დაფენილს კი აიღებს.

„მრწამს“-ის გალობის დროს წაიღენ იპოლიაჩოქები და დადგებიან ჯვარის სანთლებით ტრაპეზის ზემოთ, ხოლო ასამალღებლის: „ვისღგეთ კეთილად...“ თქმის შემდეგ მართამევენ მღვდელ-მთავარს და გამოჰყვებიან ამბიონზე. გამოყოლის დროს ხელს ჰკიდებენ აქეთ-იქით შერებში. როცა მღვდელ-მთავარი ჯვარს დასახავს მღგამარე ერს და ისევ საკუროთხველში შემობრუნდება, იპოლიაჩოქები ჩამოართმევენ სანთლებს; მერე წაიღენ და ტრაპეზის ზემოდან თაყვანს ცემენ მღვდელ-მთავარს, სანთლებს ტრაპეზზე დასდებენ და თვის-თვის ადგილს დაიკვირენ.

ასამალღებლის: «ძლივისა გალობისა...» თქმის დროს, პირველი იპოლიაჩოქი აიღებს პატარა ომფორს და მღვდელ-მთავრის მიერ საიდუმლო ლოც-

ვის: «შემდგამად ამა სანატრელთა ძალითა...» წაკითხვის შემდეგ მოახვევს მას ხოლო მოხდის წმ. ძღვენთა კუროთხევისა და შეცვლის შემდეგ, როცა მღვდელ-მთავარი თაყვანს ცემს, ვიდრე მიწაღმდე³⁾.

როცა უფროსი თანამწირველი იტყვის ასამალღებლის: „მოიხსენე უფალო, უფალი ჩენი...“ ემთხვევა მღვდელ-მთავარს მიტრასა და ხელზე, პირველი იპოლიაჩოქი მოხდის მიტრას, ხოლო დაახურავს ისევ, როცა მღვდელ-მთავარი თაყვანს ცემს, ვიდრე მიწაღმდე, და წაიკითხავს ლოცვას: «მოიხსენე უფალო, ქალაქი ესე...»⁴⁾.

„მამაო ჩენო“-ს შემდეგ, როცა ითქმის ასამალღებელი: «მადლითა და წყალობითა...», იპოლიაჩოქები მოახვევენ მღვდელ მთავარს ომფორს, დახურავენ სამეუფო კარებს და ჩამოაფარებენ კრესტ-სამეფლს.

3) როცა მღვდლათ საკურთხისა ვინმე, ჰატარა ომფორს მოხდიან იმ დროს, როცა მღვდელ-მთავარი მისცემს წმ. ტრაპეზს ნაწილს ფეშუსით ახალ საკურთხ მღვდელს.

4) უკეთუ იმ დღეს დაიკვნად ხელ-დასასხმელი ვინმე, როცა მიტრას დახურავენ მღვდელ-მთავარს, პირველი იპოლიაჩოქი მოამზადებს ჰატარა ომფორს და ასამალღებელის: „და იყუნენ წყალობისა დიდისა დგთისა...“ შემდეგ, მოახვევს მღვდელ-მთავარს; მერე მღვდელ-მთავარი რომ დასაჯდომათ წავა, პირველი იპოლიაჩოქი აიღებს ტრაპეზის წინ დაფენილ არწივებს და ერთ მთავანს ტრაპეზის მარჯვენა ყურესთან დააფენს, როცა დაიკვნად ხელ-დასასხმელი მუხლს მოადრეკს ტრაპეზის წინაშე. ხელ-დასასხმელზე საიდუმლო ღოცვის წაკითხვის შემდეგ მღვდელ-მთავარის მიერ, პირველი იპოლიაჩოქი აიღებს რიბილს და მისცემს არქიდაკოსს, ხოლო დაიკვნას კურთხევის წესის ასრულების შემდეგ მართამევენ მღვდელ-მთავარს ტრიკირს, მეორე იპოლიაჩოქი დიკირს. მეორე იპოლიაჩოქივე მოამზადებს სკამს მღვდელ-მთავარისთვის ასამალღებლის: „და იყუნენ წყალობისა...“-ის თქმამდე და სკამის წინ დააფენს არწივს. შემდეგ ამის ანთებს ჟვარის სანთლებს. როცა მღვდელ-მთავარი ხელ-დასასხმელზე ღოცვის წაკითხვად წავა, მეორე იპოლიაჩოქივე აიღებს სკამსა და მის წინ დაფენილ არწივს, ხოლო ტრაპეზის წინ კი დააფენს.

2) უკეთუ მღვდლათ ხელ-დასასხმელი ვინმე, როცა მღვდელ-მთავარი დიდი გამოხედის დროს სრულქოფის მოსწენებას, იპოლიაჩოქები უკვლენ საკურთხეველში ჩრდილოეთისა და სამსრეთის კარებით, ჟვარის სანთლებს თვის თვის ადგილზე დასდგამენ, ხოლო კურთხევის წესის დასასრულს ისევ მართამევენ მღვდელ-მთავარს სამეუფო კარებში.

წმ. ზიარების დროს პირველი იპოდიაჩოქი სდგას მღვდელ-მთავართან, უწყობს ხელს, როცა იგი თაყვანს ცემს წმ. ძღვენთა, და მღვდლების ზიარების შემდეგ მოხდის პატარა ომფორს. აგრეთვე ტრაპეზის წინ მდებარე არწივისაც აიღებს. ხოლო მეორე იპოდიაჩოქი ამ დროს აწმინდებს მღვდლარებას, დაწყობს ლანგარზე ანტიტორსა და სეფისკერს მღვდელ-მთავრისათვის და ხელის ბანისათვის ყოველივე საქირო სამკაულებს მოამზადებს.

ანტილორის შემდეგ იპოდიაჩოქები ჩვეულებრივად მითარმევენ მღვდელთ-მთავარს ხელ-საბან წყალს, ხოლო ხელის დაბანის შემდეგ პირველი იპოდიაჩოქი მითარმევს სავარცხელს. სამეფუო კარების გაღებამდე პირველი იპოდიაჩოქივე დააფენს ტრაპეზის წინ არწივს, მეორე კი ამ დროს ჯვარის სანთლებს მოუკიდებს და, როცა სამეფუო კარები გაიღება, გამოვლენ ორნივე ამავე კარებით, გამოიტანებენ ჯვარის სანთლებს და დადგებიან ამბიონზე აქეთ-იქით, საკურთხეველისაკენ პირ-შექცევ; ასამაღლებელის „აცხოენე უფალო ერი შენი...“-ს წინ მითარმევენ მღვდელ-მთავარს, ხოლო ჯვარის დასახვის შემდეგ ჩამოართმევენ ისევ და დგანან თვის თვის ადგილზე ყეოვლადე, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე“-ს დასრულებამდე. შემდეგ ამისა კი შევლენ საკურთხეველში სამეფუო კარებით, გაჰყებიან უფროს თანამწირველს სამკვეთლომდი, პირველი წინ, მეორე უკან, და, როცა იგი ბარძიშს სამკვეთლოზე დაასვენებს, იპოდიაჩოქებიც დადგამენ სანთლებს მასზედ. მერე თაყვანს ცემენ წმ. ძღვენთა და მღვდელ-მთავარს.

ამის შემდეგ პირველი იპოდიაჩოქი დასდებს ლანგარზე მღვდელ-მთავარის ბარტუულას, ზედვე დაწყობს ჩოთქსა და სავარცხალს და აგრეთვე მოამზადებს მანტიასა და ანაფორას.

ამბიონის ლოცვის კითხვის დროს იპოდიაჩოქები გამოვლენ სამეფუო კარებიდან ჯვარის სანთლებით და განტყეების შემდეგ მითარმევენ მღვდელ-მთავარს. ჯვარის დასახვის შემდეგ ჩამოართმევენ

ისევ და შევლენ საკურთხეველში. აქ ჯვარის სანთლებს მერობიდეს მისცემენ და გახლიან მღვდელ-მთავარს შესამოსელს. შემდეგ ჩააცმევენ ანაფორას და მოახამენ მანტიას. ამ დროს პირველი იპოდიაჩოქი მითარმევს ლანგარით სავარცხელსა და ბარტუულას⁵⁾.

საკურთხეველიდან გამოსვლისას იპოდიაჩოქები გამოჰყებიან მღვდელ-მთავარს იმ ადგილამდი, სადაც შეეგებენ, ხოლო იქ, სადაც მღვდელ-მთავარი უნდა შეჩერდეს, მეორე იპოდიაჩოქი დააფენს არწივს, როცა მღვდელ-მთავარი არწივზე შედგება და სამღვდლოებებს ლოცვა-კურთხევას გადასცემს, იპოდიაჩოქები მოხლიან მანტიას და მისცემენ რომელიმე დიაკონს. თვითონ მიაცილებენ ტაძრის კარებამდი და აქ გამოემშვიდობებიან.

მღვ. ი. თანცხვა

(გვგრძელება იქნება.)



5) უკეთუ წირვის შემდეგ ზარაკლის ისღიან, მაშინ განტყეების დასასრულს პირველი იპოდიაჩოქი და არქიაკონი მოასვენებენ მღვდელ-მთავარს პატარა ომფორს, ხოლო სხარების გამოსვენების დროს წინ უძღვებიან ორნივე იპოდიაჩოქები სხარებას ჯვარის სანთლებით. თუ ზარაკლისზე ღოგვაც არის წასკითხვა, პირველი იპოდიაჩოქი მოხდის მღვდელ-მთავარს მატრას და ღოცვის დასრულებამდე დაჰქერს ხელში, შემდეგ ისევ დასხარავს. —



მიიღება ხელის-მოწერა 1900 წლისათვის ორ პირადულ გამოცემათა ქართულს

„გვუჯემს“-ზე

ღ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა 3 მ.	— ,, ორივე გამოცემა 3 მ.

ზანთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც უგირაღასა, აგრეთვე ქუთაისსაგან თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მ:ღაზაში, ბ. შიო ქუჭუყაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროეთან; საჩხერაში—ყარასან მაიქიძესთან; ხაღდესაში—დეკანოზ დ. ხახუჭოეთან; ხაღდესაში—ბლაღოჩინ მათა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მსწავლებელთა და ღარიბთა განხეთქილი დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და უგირაღასა რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეუმე მცხარებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

ამჟამო საავამთავროვო ავგულაბოროითურთ ს. ბ. თოფურისს.

ქ. ქუთაისში.

საავამთავროვოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავამთავროვთათვის. მუწუკებანი და გადამდები სენით ავამთავროვნი არ მიიღებანი. მოსიარულე ავამთავროვნი მიიღებანი ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავამთავროვების მიიღებს მ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიურ შარდით სიფილისით და თვალების ავამთავროვობისათვის.

მ. შ. კ. გიგრატი.

დედაკაცურ ავამთავროვთა და საბებო ქალი. მ. შ. შ. კობანი.

რჩევა დარტყების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავამთავროვოში სრული სარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ანურაციის ფასი გარტყებასა. სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტიმბატორო განმარჯობება: ყოველდღე საღვდელ-ლო იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი.—ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი აზიას და ევროპის სახელმწიფოებში მოგაუთობის დროს.—სწეული მჭირი (ლექსი).—ბრძენ კაცთა გონების საღაროდგან ამოკრებილი აზრები და აფორიზმები.—ნეკროლოგი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

საპირო და სასაგამლო ცნობათა განყოფილება: მღვდელთა მსახურების წეს-რიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საქირთა ცნობანი საღვდელთა და საეკლესიო მოსამსახურეთათვის. რუს. თარგ. ი. ფანცხავას მიერ.

—განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ზ. ლაბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисо, 4 Сентября 1900 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елисе

Типог. редакції журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсдзѣ на Нѣмецкой ул.